ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1646992

ნომერი: AR1272425

თარიღი : 11.12.2014

გაცემის თარიღი : 18.12.2014

გაცნობის თარიღი : 02.09.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კარბელაშვილი პ/ნ 01010011498
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 1 ბ. 45

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს AR1272425 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #81.08.17.249; 81.08.17.250) არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს ინიციატივით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N1748 განკარგულებით შევიდა დამატება „საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია – მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის N104 განკარგულებაში, რომლის თანახმადაც „ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო სამუშაოების დასრულება-შეთანხმების შემდეგ (სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე) შესაძლებელია შეზღუდვის ზოლის (საპროექტო გზის ღერძიდან 100 მეტრი) შემცირება საპროექტო გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი ორგანოების შეთანხმების გზით“.

აღნიშნული ინიციატივის მიზანი არის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ მონაკვეთებთან მიმართებაში უფრო მოქნილი სამშენებლო რეგულაციების შემოღება და იმ იურიდიული თუ ფიზიკური პირების მდგომარეობის მაქსიმალური შემსუბუქება, რომელთა მფლობელობაშიც არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება ხსენებული საავტომობილო გზების გასწვრივ ინფრასტრუქტურის განვითარება–ჩამოყალიბებას უკავშირდება და ყვება 100 მეტრიან შეზღუდვის ზოლში.

ამ ეტაპზე, სამსახურის ხელთარსებული ინფორმაციით, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები და მათი დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება შეზღუდვის 100 მეტრიანი ზოლის შემცირება საპროექტო გადაწყვეტილების შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.